პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორგან. ც. კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სამ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 8 აპრილი, 1942 წ. № 83 (6399). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა ქალის სულის სიდიადე

არ არსებობს ძალა, რომელსაც შესძლებდა გაეტეხნა საბჭოთა ქალის სული. ეს ჩვენმა ხალხმა იცის. ეს იციან წითელი არმიის მეომრებმა, და ამიტომ ისინი ამაყობენ თავისი დედებით, ცოლებით, დებითა და საცოლოებით. ეს იცის მთელმა მსოფლიომ, რომელიც აღტაცებულია საბჭოთა პატრიოტი ქალების სულის სიდიადითა და სიმტკიცით, საბჭოთა პატრიოტი ქალებისა, რომლებიც ზურგში და ფრონტზე გვიანხლებენ ჰიტლერელთა ურდოებზე სრული გამარჯვების დღეს.

დედა ფრონტზე აცილებს შვილს, ცრემლს უმალავს და საბრძოლო გმირობისათვის ლოცავს მეომარს. ცოლი წითელ არმიაში იცილებს ქმარს, თვითონ კი მთელ ძალას ანდომებს ერთგულ შრომას, რადგან იცის, რომ თავისი შრომით ეხმარება ჩვენს ქვეყანას, ხალხს, თავის მახლობელ ადამიანს, რაც შეიძლება მალე იჭნას დაძლეული მტერი.

არის მძიმე დღეები, რაც აუცილებელია ომის პირობებში, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გასტეხონ და ვერც გასტეხენ საბჭოთა ქალის სულს, რომელიც მზად არის თავდადებისათვის, ყოველგვარი გაჭირვებისათვის, ოღონდ დაიცვას თავისი სამშობლოს თავისუფლება, თავისი შვილების ბედნიერება და ის მაღალი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, რომელზედაც იგი დაარწმუნა საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ.

იცის თუ არა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ, იცის თუ არა ყველა ჩვენმა მებრძოლმა და მეთაურმა, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ყველა ქალმა, თუ რა სულის სიდიადე გამოიჩინა საბჭოთა პატრიოტმა ქალმა ღუნაი ივანოვამ, ლენინგრადელი მუშის ქალიშვილმა? მას მოუტანეს უსაყვარლესი მოკლული ძმის დასახრჩობელი თავი. მეომრის ტანი ვერ უპოვნიათ. ახალგაზრდა ქალმა ძვირფასი ძმის ეს თავი ალვის ხის ძირას დაკრძალა, მერმე ცრემლი შეიმრო და წავიდა, რათა გერმანელები ენადგურებინა. მერე რარიგ ანადგურებდა იგი მათ! მხეცებს ძვირად დაუჯდათ მისი ძმის თავი. როცა ღუნაი ივანოვა ფაშისტებს კლანჭებში ჩაუვარდა, იგი აწამეს, მის ტანზე ამოსწვეს ხუთქიმიანი ვარსკვლავები, სამურეველით აძრობდნენ მას ტყავს. სდუმდა საბჭოთა ხალხის ამაყი ქალიშვილი!

— კომისარი დედაკაცია! — წამოიჩხავლა ფაშისტმა ოფიცერმა.

მან კომისარი უწოდა მას, მან იცოდა, რომ ჩვენი კომისრები სიმტკიცის, მამაცობისა და ვეულიდობის მაგალითი ყველა ჩვენ ქალებისა, ამიტომ ასეთი ამაყობენ ასეთ ქალებზე, ამიტომ ასეთ

ბოლშევიკური პრესის წარსულიდან

„პრავდის“ ორგანიზაციული მნიშვნელობა

(მოგონებებიდან)

„პრავდა“ გაჩნდა ჩვენი პარტიის განვითარების ისეთ პერიოდში, როცა იატაკქვეშეთი მოლიანად ბოლშევიკების ხელში იყო (მენშევიკები გაიქცნენ იქიდან), ხოლო ორგანიზაციის ლეგალური ფორმები — სათათბიროს ფრაქცია, პრესა, საავადმყოფო სალაროები, დაზღვევის სალაროები, პროფესიული გაერთიანებანი — ჯერ კიდევ მთლიანად არ გვქონდა წართმეული მენშევიკებისათვის. ეს იყო პერიოდი ბოლშევიკების გადამწყვეტი ბრძოლისა მუშათა კლასის ორგანიზაციის ლეგალური ფორმებიდან ლიკვიდატორების (მენშევიკების) განდევნისათვის. მენშევიკების „პოსტებიდან“ მოხსნის“ ლოზუნგი მაშინ მუშათა მძიმიობის უაღრესად პოპულარული ლოზუნგი იყო. „პრავდის“ ფურცლები აჭრელებული იყო ცნობებით სდაზნევეთ ორგანიზაციებიდან, საავადმყოფო სალაროებიდან და პროფესიული გაერთიანებებიდან ერთ ფრთის იქ მოკალათებული ლიკვიდატორების განდევნის შესახებ. მენშევიკებს ბრძოლით წაეართვით მუშათა კერიის ექვსივე სადეპუტატო ადგილი. ასეთსავე ან თითქმის ასეთსავე უმეფოო მდგომარეობაში იყო მენშევიკური პრესა. ეს იყო ბოლშევიკურად განწყობილი მუშების ეროვნულად ერთიანი ბრძოლა პარტიისათვის, ვინაიდან ცარიზმის აგენტები არა სთვლიდნენ, სდევნიდნენ და ანადგურებდნენ ბოლშევიკებს, ხოლო იატაკქვეშეთში შერეკილ პარტიას არ ძალუძდა შემდგომი განვითარება ლეგალურ საფართა გარეშე. უფრო მეტიც, — ლეგალური ორგანიზაციების დაუპყრობლად პარტიას მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში არ შეეძლო გაეტა ძაფები ფართო მასებში და დაეჩაზმა ისინი თავისი დროშის გარშემო, იგი მოსწყდებოდა მასებს და გადაიქცეოდა კარჩაკეტილ წრედ, რომლის ხვედრი იქნებოდა საკუთარ წვენში ხარშვა.

პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა პარტიის შექმნისათვის ამ ბრძოლის ცენტრში იდგა „პრავდა“. იგი უბრალოდ გაზეთი კი არ იყო, რომელიც აჯამებდა ბოლშევიკების წარმატებებს ლეგალური მუშათა ორგანიზაციების დაპყრობის საქმეში, — იგი ამასთანავე იყო მაორგანიზებელი ცენტრი, რომელიც ამ ორგანიზაციებს რაზმავდა პარტიის არალეგალური კერების გარშემო და მუშათა მოძრაობას ერთი გარკვეული მიმართულებაც წარმართავდა. ამს. ლენინ ჯერ კიდევ წიგნში „რა ვაკეთოთ?“ (1902 წ.) სწერდა, კარგად დაყენებული საერთორუსული მებრძოლი გაზეთი არა მარტო კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც უნდა იყოსო. სწორედ ასეთ გაზეთად გადაიქცა „პრავდა“ იატაკქვეშეთის შენარჩუნებისა და ლეგალური მუშათა ორგანიზაციების დაპყრობისათვის ლიკვიდატორებთან ბრძოლის პერიოდში. თუ სწორია ის დებულება, რომ ლიკვიდატორებზე გაუმარჯვებლად ჩვენ არ გვეყოლებოდა თავისი დარაზმულობისი ძლიერი და პროლეტარიატისადმი თავისი ერთგულებით უძლეველი ის პარტია, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერი მოაწყო, — იმდენადვე სწორია ისიც, რომ ძველი „პრავდის“ შეუთვალრა და თავ დადებულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად მოამზადა და დაიჩქარა ეს გამარჯვება ლიკვიდატორებზე. ამ გაგებით ძველი „პრავდა“ უეჭველად იყო რუსეთის პროლეტარიატის მომავალ სახელოვან გამარჯვებათა წინამორბედი.

ი. სტალინი

„პრავდა“ № 98, 5 მაისი 1922 წ.

სტალინური „ბრძოლა“

რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს ლენინურმა „ისკრამ“ აუწყა პირველი ქარიფლი ლენინურ-ისკრული მომართულების გაზეთ „ბრძოლას“ გამოსვლა. გაზეთ „ბრძოლას“ შექმნა დიდი სტალინის და მაგი თანამეზრძოლის, ლადო კეცხოველის სახელთან არის დაკავშირებული.

დიდმა სტალინმა ქართველი „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში შექმნა და გამოაწრთო კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. 1900-იანი წლებიდან ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიაში მუშათა მოძრაობამ ფართოდ გაიდგა ფესვები. მან გაარღვია ციხეო კოსმოპოლიტიკური მუშობის ფარგალები და მასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე დადგა. მრავალრიცხოვნი კავკასიის პროლეტარიატი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეეფინა და რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატის საერთო კლასობრივ ბრძოლას. ამ საერთო საქმისათვის ქართველი პროლეტარიატის ბრძოლის ორგანიზატორი იყო ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ალიზარაა ლენინური „ისკრის“ ტრადიციებზე.

ლენინური „ისკრა“ ფარიფარ ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში. ამხანაგი სტალინი თვითონ უკითხავდა მოწმენი მუშებს „ისკრას“ და ეურჩევდა ყურადღებით წაეკითხონ ეს ფურცელი. ამხანაგი სტალინი სისტემატურად მიკუთვნის პროგრამით. ის ხელოვნურ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და მასშასადამე ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (ვ.ზ. „ბრძოლა“ № 1).

„ბრძოლა“ იკავებდა ასაბუთებდა პროლეტარიატის ბეჯითნობის იდეას ბერძენ-ფილოდემოკრატიულ რევოლუციაში. იგი სწერდა, „მხოლოდ რეკოლუციონერი პროლეტარიატი არის ისტორიიდან ამორეკილი ბოგრეკ ბეგინამოვიტყოდეს მთელი კაკიბრობისა და ქვეყნად მეფეთრების დამაბარებელი“ („ბრძოლა“ № 1). ამისათვის საჭიროა „...ძლიერი და ჭეშდრად შეკავშირებული ორგანიზაცია. ...ორგანიზაცია პარტიის, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი ახრით და შეხედულებებით ტაკბიტურ კოთხეებზე“ („ბრძოლა“ № 2-3).

„ბრძოლამ“ ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ იგი მარტოოდენ ადგილობრივი კარკეტილი ორგანო არ არის. მისთვის ცხადი იყო, რომ ახალმა ნამეფილმა რევოლუციურ-ეროვნულ ბოგიენ ბეგინამ ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნ ...„ქართველთა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო პარტიული და მასობრივ ...ადგილობრივი ორგანიზების როლი ერის და ამავე დროს“ („ბრძოლა“ № 1). ფიდი ხანლინ პროლეტარიატი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდა ბრეკალურად ამიერკავკასიის მუშათა კლასს, რომელიც ბეგინ ...ბეგ ბაბერილოთ ოფიციალურ ...ბეგ ...ბეგ ...ბეგ